

ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი

ამოცანა 4.1.1

ამოცანა 4.1.1. პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებების დაცვის კანონმდებლობისა და პრაქტიკის დახვეწა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 0%

შეფასება:

2018 წელს და 2019 წლის პირველ ნახევარში არ განხორციელებულა არცერთი საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც გააუმჯობესებდა მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა უფლებრივ მდგომარეობას.

2018 წლის 5 ივლისს პატიმრობის კოდექსში 60 ცვლილება განხორციელდა, თუმცა ისინი ტექნიკური ხასიათისაა და გამოწვეულია სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს გაუქმებით, ახალი სსიპ-ების შექმნით და სხვა მომიჯნავე უწყებების სახელწოდების ცვლილებით.

რაც შეეხება კანონმდებლობისა და პრაქტიკის პერმანენტულ ანალიზს, შესაბამისი ცვლილებების მომზადების მიზნით, აღნიშნულის თაობაზე სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს ინფორმაცია არ მოუწოდებია.

ჯერჯერობით კვლავ შეუსრულებელი რჩება მონიტორინგის ორგანოების მთელი რიგი რეკომენდაციები, მათ შორის, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები, მაგალითად, ბრალდებულთათვის 4 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობის განსაზღვრის თაობაზე; პირობით ვადამდე გათავისუფლების დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე და ა.შ.

საანგარიშო პერიოდში ამოცანა 4.1.1 არ შესრულებულა.

აქტივობა 4.1.1.1. მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ არსებული მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის პერმანენტული ანალიზი და და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებისა და შიდა რეგულაციების მომზადება და ინიცირება

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

შიდა და გარე მონიტორინგის ორგანოების, ეროვნული პრევენციული ჯგუფის, ასევე საერთაშორისო მონიტონგის მექანიზმების მიერ მომზადებული გეგმიური თუ არაგეგმიური ანგარიშებსა ან/და დასკვნებში მოცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულია შესაბამის სამართლებრივ ცვლილებებში;

შიდა და გარე მონიტორინგის ორგანოების, ეროვნული პრევენციული ჯგუფის, ასევე საერთაშორისო მონიტონგის მექანიზმების მიერ პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზები აღმოფხვრილია;

სტატუსი: არ არის შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

აქტივობა 4.1.1.2. ბრალდებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ არსებული მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაბამისი ხარვეზების გამოვლენა და აღმოფხვრა

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

შიდა და გარე მონიტორინგის ორგანოების, ეროვნული პრევენციული ჯგუფის, ასევე საერთაშორისო მონიტონგის მექანიზმების მიერ მომზადებული გეგმიური თუ არაგეგმიური ანგარიშებსა ან/და დასკვნებში მოცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულია შესაბამის სამართლებრივ ცვლილებებში;

შიდა და გარე მონიტორინგის ორგანოების, ეროვნული პრევენციული ჯგუფის, ასევე საერთაშორისო მონიტონგის მექანიზმების მიერ პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზები აღმოფხვრილია;

სტატუსი: არ არის შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება